

სტატისტიკური მონაცემების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ოფიციალური სტატისტიკის სხვა მნარმოებლებისა¹ და მონაცემების მომწოდებლებისთვის

ოფიციალური სტატისტიკის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (Quality Assurance Framework – QAF) უზრუნველყოფს მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფისადმი სისტემურ მიდგომას სტანდარტების, პროცესებისა და ინსტრუმენტების განსაზღვრის გზით. ძირითადი კომპონენტები მოიცავს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა შესაბამისობა, სიზუსტე, დროულობა, თანამიმდევრულობა და ხელმისაწვდომობა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად, რომელიც ასახავს სტატისტიკური წარმოების პროცესის ყველა ეტაპზე ხარისხის მონიტორინგისა და გაუმჯობესების ქმედებებს. ისეთი სისტემები, როგორიცაა გაეროს ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (NQAF) და ევროპის სტატისტიკური სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (ESS QAF) ამ ხარისხის სტანდარტების დანერგვის მოდელს წარმოადგენენ.

საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები

2000-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების შემუშავება, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო საიმედო, თანამიმდევრული და გამჭვირვალე სტატისტიკა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისა და გლობალური ინიციატივებისთვის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა ხარისხის შეფასების სისტემა (DQAF, 2003): უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ მიდგომას მონაცემთა ხარისხის შესაფასებლად, ფოკუსირებულია მთლიანობაზე, დასაბუთებულ მეთოდოლოგიაზე, სიზუსტეზე, გამოყენების სიმარტივესა და ხელმისაწვდომობაზე.

გაეროს ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (UN NQAF, 2019): ეს ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო იძლევა პრინციპებს და ზოგად შაბლონს, რომლის გამოყენებაც ქვეყნებს შეუძლიათ საკუთარი ეროვნული ხარისხის სისტემების ჩამოსაყალიბებლად. ის მოიცავს მთელ სტატისტიკურ სისტემას, წარმოების პროცესებსა და შედეგებს.

ევროპის სტატისტიკური სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (ESS QAF): მიღებული იქნა 2009 წელს და განახლდა 2017 წელს. ეს სისტემა სავალდებულოა ევროპის სტატისტიკური სისტემის ყველა სტატისტიკური ორგანოსთვის, მათ შორის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტებისა და სხვა

¹ გარდა საქსტატისა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეროვნული მწარმოებლებისთვის. ის ავსებს ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსს დეტალური მეთოდების, ინსტრუმენტებისა და კარგი პრაქტიკის მიწოდებით.

ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ხარისხის სისტემა და სახელმძღვანელო პრინციპები (QFG, 2011): ხელს უწყობს გამჭვირვალობას, პროფესიულ დამოუკიდებლობას და მომხმარებელთა ჩართულობას სტატისტიკურ საქმიანობაში.

ამ სისტემებს საერთო მიზანი აქვთ: ოფიციალური სტატისტიკის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება მკაცრი სტანდარტების დანერგვით, რათა შეიქმნას ზუსტი, დროული და შესაბამისი სტატისტიკა პოლიტიკის შემქმნელებისთვის, მკვლევარებისა და საზოგადოებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი კომპონენტები

ხარისხის ზოგადი პრინციპები მოიცავს:

- შესაბამისობას: მომხმარებლის საჭიროებების დაკმაყოფილება.
- სიზუსტეს და სანდოობას: სანდო და უშეცდომო მონაცემების წარმოება.
- დროულობას და პუნქტუალურობას: სტატისტიკის მიწოდება გონივრულ ვადებში.
- თანამიმდევრულობას და შედარებადობას: სტატისტიკის თანამიმდევრულობის უზრუნველყოფა დროთა განმავლობაში და სხვადასხვა სფეროში.
- ხელმისაწვდომობას და სიცხადეს: მონაცემებისა და მეტამონაცემების გაგების გამარტივება და მომხმარებლებისთვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს კონკრეტულ ქმედებებს, სტანდარტებსა და კონტროლს, რომლებიც უნდა განხორციელდეს სტატისტიკური პროცესის განმავლობაში. იგი უნდა ითვალისწინებდეს:

- მომხმარებლის საჭიროებებს.
- პროცესის ტექნიკურ და ორგანიზაციულ დიზაინს.
- მონაცემთა შეგროვების ხარისხს, განსაკუთრებით ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენებისას.
- მონაცემთა დამუშავების ხარისხს, მათ შორის რედაქტირებასა და იმპუტაციას.
- საბოლოო პროდუქტის ხარისხს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ყოველწლიური სისტემის ძირითადი აქტივობები მოიცავს აქტივობების ფართო სპექტრს, როგორიცაა:

- ხარისხის უზრუნველყოფა: პროექტიული ნაბიჯები პრობლემების თავიდან ასაცილებლად.
- ხარისხის კონტროლი: რეაქტიული ზომები პრობლემების წარმოშობისთანავე გამოსასწორებლად.
- ხარისხის გაუმჯობესება: სისტემატური პროცესი გრძელვადიანი გაუმჯობესების მიზნით.
- ხარისხის ანგარიშები: მომხმარებლების ინფორმირება სტატისტიკის ხარისხის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები ეფუძნება პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც ჩვეულებრივ კატეგორიზებულია როგორც ინსტიტუციური გარემო, სტატისტიკური პროცესები და სტატისტიკური შედეგები:

ინსტიტუციური გარემო

პროფესიული დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ობიექტურობა, გამჭვირვალობა, სტატისტიკური კონფიდენციალურობა, ხარისხისადმი ერთგულება, რესურსების ადეკვატურობა და მონაცემთა შეგროვების მკაფიო მანდატი.

სტატისტიკური პროცესები

საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საიმედო მეთოდოლოგია, შესაბამისი სტატისტიკური პროცედურები, რესპონდენტებზე დატვირთვის მართვა, ეკონომიურობა და ხარისხის უზრუნველყოფა მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების დროს.

სტატისტიკური შედეგები

შესაბამისობა, სიზუსტე და სანდოობა, დროულობა და პუნქტუალურობა, ხელმისაწვდომობა და სიცხადე, თანამიმდევრულობა და შედარებადობა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სისტემის ამოცანაა ხარისხის უზრუნველყოფა მთელ ეროვნულ სტატისტიკურ სისტემაში, რომელიც მოიცავს საჯარო დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ოფიციალურ სტატისტიკას აწარმოებენ ან დარგობრივი სტატისტიკის მონაცემებს აწვდიან საქსტატს.

საქსტატში ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობა წარმოებს გაეროსა და ევროკავშირის სტატისტიკური სტანდარტების შესაბამისად. წინამდებარე დოკუმენტში ძირითადად განვიხილავთ ევროკავშირის სტატისტიკის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას.

ევროპის სტატისტიკური სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

ევროპის სტატისტიკური სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ბოლო, გადამუშავებული ვერსია გამოქვეყნდა 2019 წელს. ის ვრცელდება ევროპის მთელ სტატისტიკურ სისტემაზე, მათ შორის ევროსტატზე და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ სტატისტიკურ სამსახურებზე. სისტემის სამართლებრივი საფუძველია 2009 წელს მიღებული [რეგულაცია 223/2009](#) ევროპის სტატისტიკის შესახებ.

სისტემის მიზანია ევროპის მასშტაბით მაღალი ხარისხის, სანდო და შედარებადი სტატისტიკის წარმოების უზრუნველყოფა და ევროპის სტატისტიკური სისტემის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის საერთო სისტემის არსებობა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისა და სტატისტიკის წარმოებაში გამჭვირვალობის მხარდაჭერა.

სისტემა წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურებისა და ევროსტატის მიერ წარმოებული სტატისტიკის ხარისხის უზრუნველსაყოფად. სისტემა განაპირობებს ხარისხის უზრუნველყოფისადმი სტრუქტურირებულ მიდგომას, დეტალურად აღწერს მეთოდებს, ინსტრუმენტებს და აქტივობებს ევროპის სტატისტიკის სისტემაში სტატისტიკის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.

ხარისხის სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი - [ESS Code of Practice](#) - მასში დადგენილია ევროპული სტატისტიკის შემუშავების, წარმოებისა და გავრცელების სტანდარტები. ევროპის სტატისტიკის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არის ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც შემუშავებულია ევროსტატის მიერ ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის განხორციელების მხარდასაჭერად.

კოდექსში განსაზღვრულია 16 ძირითადი პრინციპი (84 მაჩვენებელი) ინსტიტუციური გარემოსთვის, რომლებიც ადგენენ ევროპული სტატისტიკის შემუშავების, წარმოებისა და გავრცელების

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სტანდარტებს და რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ ევროკავშირისა და ეროვნული სტატისტიკური ორგანოები, ასევე სტატისტიკური პროცესებისა და გამომავალი მონაცემებისთვის. ეს პრინციპები და მაჩვენებლები წარმოადგენენ საცნობარო მასალას კოდექსის განხორციელების განხილვისთვის, რითაც ხელს უწყობენ ევროპის სტატისტიკის სისტემაში გამჭვირვალობის ზრდას.

სისტემა უზრუნველყოფს მაღალი დონის პროფესიული დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, სიზუსტისა და სანდოობის სტანდარტების შესაბამისად ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას.

ძირითადი ელემენტები:

1.

ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობები:

განსაზღვრავს აქტივობებს, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც ხელს უწყობს პრაქტიკის კოდექსის პრინციპების დაცვას.

2.

თავისთავი პრინციპი:

მოიცავს ინსტიტუციურ გარემოს, სტატისტიკურ პროცესებს და სტატისტიკურ შედეგებს.

3.

ექსპერტული შეფასება (PEER REVIEW):

პრაქტიკის კოდექსთან შესაბამისობის შეფასების მექანიზმი ექსპერტების მიერ რეგულარული შეფასებებისა და შემდგომი ქმედებების მეშვეობით.

4.

უწყვთი გაუმჯობესება:

ხელს უწყობს ხარისხის რეგულარულ შეფასებებს, უკუკავშირის მექანიზმებს და სტატისტიკური პრაქტიკის გაუმჯობესებას.

ხარისხი მრავალმხრივი კონცეფციაა, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობის ყველა ასპექტზე. ოფიციალურ სტატისტიკაში ხარისხი მოიცავს არა მხოლოდ სტატისტიკურ შედეგებს, არამედ მათ წარმომქმნელ სტატისტიკურ პროცესებსაც და ინსტიტუციურ გარემოსაც, რომელიც სტატისტიკური ორგანოები მოქმედებენ. ეს სამხმრივი მიდგომა ასახულია კოდექსში, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, შედგება 16 პრინციპისა და 84 მაჩვენებლისგან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კოდექსის მიზანია უზრუნველყოს, რომ ევროპის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტების ფარგლებში წარმოებული სტატისტიკა იყოს აქტუალური, დროული და ზუსტი და შეესაბამებოდეს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა პროფესიული დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ობიექტურობა. კოდექსის საბოლოო მიზანია ევროპული სტატისტიკის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რათა მან დაიმსახუროს მომხმარებლების ნდობა.

უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად და სწრაფად ცვალებად მონაცემთა გარემოში ევროპული სტატისტიკის აქტუალობის შესანარჩუნებლად, კოდექსი ორჯერ გადაიხედა – 2011 წლის სექტემბერში და 2017 წლის ნოემბერში. უახლესმა გადასინჯვამ შემოიტანა რამდენიმე ძირითადი განახლება, როგორიცაა პრეამბულაში ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის დეკლარაციის ჩართვა და ცვლილებები, რომლებიც აძლიერებს პროფესიულ დამოუკიდებლობას და ეროვნული სტატისტიკური ინსტიტუტებისა და ევროსტატის კოორდინაციისა და თანამშრომლობის როლს. მოდერნიზაციის ელემენტები ასევე დაემატა სხვადასხვა პრინციპებსა და ინდიკატორებს, რომლებიც ეხება მონაცემთა მრავალ წყაროზე წვდომას და მათ გამოყენებას (მათ შორის ადმინისტრაციული და სხვა მონაცემები, როგორიცაა კერძო საკუთრებაში არსებული მონაცემები).

ეს სისტემა, პრაქტიკის კოდექსთან ერთად, წარმოადგენს ევროპის სტატისტიკური ორგანოების ვალდებულებას, შეინარჩუნონ მაღალი სტანდარტები და მუდმივად გააუმჯობესონ სტატისტიკური მონაცემების ხარისხი.

ამ დოკუმენტში შედარებით დაწვრილებით შევჩერდებით კოდექსის იმ პრინციპებსა და მაჩვენებლებზე, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება ოფიციალური სტატისტიკის სხვა მწარმოებლებისა და მონაცემთა მომწოდებლების საქმიანობას.

ინსტიტუციური გარემო

ინსტიტუციური და ორგანიზაციული ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროპული სტატისტიკის შემუშავებელი, მწარმოებელი და გამავრცელებელი სტატისტიკური უწყების ეფექტურობასა და სანდოობაზე. შესაბამისი პრინციპებია პროფესიული დამოუკიდებლობა, კოორდინაცია და თანამშრომლობა, მონაცემთა შეგროვების მანდატი, რესურსების ადეკვატურობა, ხარისხისადმი ვალდებულება, სტატისტიკური კონფიდენციალურობა, მიუკერძოებლობა და ობიექტურობა.

პრინციპი 1.

პროფესიული დამოუკიდებლობა

სტატისტიკური ორგანოების პროფესიული დამოუკიდებლობა სხვა პოლიტიკური, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული ორგანოებისა და უწყებებისაგან, ისევე როგორც კერძო სექტორის ოპერატორებისაგან, ევროპული სტატისტიკის სანდოობას უზრუნველყოფს.

მაჩვენებლები

1.1 სტატისტიკის შემუშავების, წარმოებისა და გავრცელებისას სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტებისა და ევროსტატის დამოუკიდებლობა პოლიტიკური და სხვა გარე ჩარევისაგან განსაზღვრულია კანონით და გარანტირებულია სხვა სტატისტიკური უწყებებისთვისაც.

1.2 სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტებისა და ევროსტატის ხელმძღვანელებს და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტატისტიკური უწყებების ხელმძღვანელებს უკავიათ საკმარისად მაღალი იერარქიული მდგომარეობა, რათა უზრუნველყონ მაღალი დონის წვდომა პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სახელმწიფო ორგანოებთან. მათ აქვთ უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია.

1.3 სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტებისა და ევროსტატის და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტატისტიკური უწყებების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან სტატისტიკის დამოუკიდებლად შემუშავების, წარმოებისა და გავრცელების უზრუნველყოფაზე.

1.4 გადანაცვებებს სტატისტიკური მეთოდების, სტანდარტებისა და პროცედურების, სტატისტიკური გამოცემების შინაარსისა და გამოქვეყნების განრიგის თაობაზე იღებენ მხოლოდ სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტებისა და ევროსტატის და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტატისტიკური უწყებების ხელმძღვანელები.

1.5 სტატისტიკური სამუშაოების პროგრამები ქვეყნდება და პერიოდულ ანგარიშებში აღიწერება მიღწეული პროგრესი.

1.6 სტატისტიკური გამოცემები მკაფიოდ განირჩევიან და არ შეიცავენ პოლიტიკური კურსის ან პოლიტიკის შეფასებებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

1.7 სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტები და ევროსტატი და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტატისტიკური უწყებები საჯაროდ აკეთებენ კომენტარს სტატისტიკის საკითხებზე, მათ შორის კრიტიკასა და სტატისტიკის არასწორად გამოყენებაზე, თუ ამას მართებულად ჩათვლიან.

1.8 სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტებისა და ევროსტატის და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტატისტიკური უწყებების ხელმძღვანელების შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები გამჭვირვალეა და ემყარება მხოლოდ პროფესიულ კრიტერიუმებს. მიზეზები, რომელთა საფუძველზეც მათ შეიძლება თანამდებობა დატოვონ, განსაზღვრულია კანონმდებლობით. ეს მიზეზები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ პროფესიულ ან მეცნიერულ დამოუკიდებლობას.

ნორმატიული აქტები (დანესებულების და/ან სტრუქტურული ერთეულის დებულებები და სხვა მსგავსი დოკუმენტები) უზრუნველყოფენ სტრუქტურული ერთეულის პროფესიულ დამოუკიდებლობას.

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების მეთოდების, სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ. იგი განსაზღვრავს სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების დროსა და შინაარსს.

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უკავია საკმარისად მაღალი **იერარქიული მდგომარეობა** და იგი თანამდებობაზე ინიშნება/თანამდებობიდან თავისუფლდება მხოლოდ პროფესიული კრიტერიუმების შესაბამისად.

პრინციპი 1.1

კოორდინაცია და თანამშრომლობა

სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტები და ევროსტატი უზრუნველყოფენ ევროპული სტატისტიკის შემუშავებისთვის, წარმოებისთვის და გავრცელებისთვის საჭირო ყველა ღონისძიების კოორდინაციას ეროვნული და ევროპის სტატისტიკის სისტემების დონეზე. სტატისტიკური ორგანოები აქტიურად თანამშრომლობენ ევროპის სტატისტიკის სისტემის პარტნიორობის ფარგლებში, რათა უზრუნველყონ ევროპული სტატისტიკის შემუშავება, წარმოება და გავრცელება.

მაჩვენებლები

1.1.1 სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტები კოორდინაციას უწევენ ყველა სხვა ეროვნული ორგანოს სტატისტიკურ საქმიანობებს, რომლებიც შეიმუშავებენ, აწარმოებენ და ავრცელებენ ევროპულ სტატისტიკას. ამ თვალსაზრისით ისინი მოქმედებენ როგორც სტატისტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ევროსტატის ერთადერთი საკონტაქტო უწყება. როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე მაკოორდინირებელი როლის შესასრულებლად არსებობს კანონმდებლობა და მკაფიოდ განსაზღვრული და დადგენილი პროცედურები.

1.1.2 საჭიროების შემთხვევაში სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტების ხელმძღვანელები შეიმუშავებენ ეროვნულ სახელმძღვანელო პრინციპებს სტატისტიკის ეროვნულ სისტემაში ევროპული სტატისტიკის შემუშავების, წარმოების და გავრცელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით; მათი შესრულება კონტროლისა და დაკვირვების საგანია.

1.1.3 სტატისტიკური ორგანოები მუდმივად მხარს უჭერენ და ავითარებენ სხვადასხვა დონის თანამშრომლობას ერთმანეთთან და ევროპის სტატისტიკის სისტემის საკონსულტაციო ორგანოებთან, საჭიროების შემთხვევაში ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის წევრებთან, სამეცნიერო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

პრინციპი 2.

მონაცემთა შეგროვების მანდატი

სტატისტიკური ორგანოები ფლობენ მკაფიო კანონიერ უფლებამოსილებას შეაგროვონ ინფორმაცია მონაცემთა სხვადასხვა წყაროებიდან და ჰქონდეთ მასზე წვდომა ევროპული სტატისტიკის მიზნებისთვის. ადმინისტრაციული ორგანოები, საწარმოები, შინამეურნეობები და საზოგადოება შესაძლოა კანონმა აიძულოს სტატისტიკური ორგანოების მოთხოვნით, ხელმისაწვდომი გახადონ ან გასცენ მონაცემები ევროპული სტატისტიკის მიზნებისთვის.

მაჩვენებლები

- 2.1 სტატისტიკური ორგანოების უფლებამოსილება, შეაგროვონ ინფორმაცია ევროპული სტატისტიკის შემუშავების, წარმოებისა და გავრცელების მიზნით, განსაზღვრულია კანონით.
- 2.2 სტატისტიკურ ორგანოებს კანონით მინიჭებული აქვთ უფლება, გამოიყენონ ადმინისტრაციული მონაცემები სტატისტიკური მიზნებისათვის.
- 2.3 სამართლებრივი აქტის საფუძველზე სტატისტიკურ ორგანოებს სტატისტიკურ კვლევებზე გამოპასუხებისათვის საჭირო იძულების მანდატი გააჩნიათ.
- 2.4 სტატისტიკური მიზნებიდან გამომდინარე გამარტივებულია წვდომა სხვა მონაცემებზე, მაგალითად, კერძო საკუთრებაში არსებულ მონაცემებზე, სტატისტიკური კონფიდენციალურობის და მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის პირობით.

სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილება, შეაგროვოს ინფორმაცია სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების მიზნით, უზრუნველყოფილია ნორმატიული დოკუმენტებით.

პრინციპი 3.

რესურსების ადეკვატურობა

სტატისტიკური ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი რესურსები საკმარისია ევროპული სტატისტიკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მაჩვენებლები

3.1 ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები, ადეკვატური როგორც მასშტაბით, ისე ხარისხით, ხელმისაწვდომია სტატისტიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

3.2 სტატისტიკის მოცვა, დეტალიზება და ხარჯები მოთხოვნების პროპორციულია.

3.3 დადგენილია ახალ სტატისტიკურ მონაცემებზე მოთხოვნების შეფასების და დასაბუთების პროცედურები, მათი ღირებულების გათვალისწინებით.

3.4 დადგენილია ყველა სტატისტიკის მიმდინარე საჭიროების შეფასების პროცედურები, იმის გასარკვევად, შესაძლებელია თუ არა რომელიმე მონაცემის წარმოების შეწყვეტა ან შეკვეცა რესურსების გამოთავისუფლების მიზნით.

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი რეგულარულად განიხილავს **რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებს** დაწესებულების ხელმძღვანელობასთან.

სტრუქტურული ერთეული **უზრუნველყოფილია** სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელებისთვის საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსებით.

სტრუქტურული ერთეულში არსებობს თანამშრომლების მიერ შესასრულებელი **სამუშაოების აღწერილობები**.

პრინციპი 4.

ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულება

სტატისტიკური ორგანოები ხარისხის ერთგულნი არიან. ისინი სისტემატურად და რეგულარულად ადგენენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რათა მუდმივად გააუმჯობესონ პროცესებისა და პროდუქტების ხარისხი.

მაჩვენებლები

4.1 ხარისხის მართვის პოლიტიკა განსაზღვრულია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. არსებობს ხარისხის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ინსტრუმენტები.

4.2 დანერგილია სტატისტიკური პროცესების ხარისხის დაგეგმვის, მონიტორინგის და გაუმჯობესების პროცედურები, მათ შორის მონაცემთა სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემთა ინტეგრირების პროცედურები.

4.3 ხორციელდება პროდუქტების ხარისხის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება შესაძლო კომპრომისული გადაწყვეტილებების თვალსაზრისით და ევროპული სტატისტიკის ხარისხის კრიტერიუმებთან შესაბამისობის ანგარიშების შედგენა.

4.4 მიმდინარეობს ძირითადი სტატისტიკური პროდუქტების რეგულარული და ზედმინევენითი შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში, გარეშე ექსპერტების მონაწილეობით.

სტრუქტურული ერთეულში არსებობს სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხზე დაკვირვების, მისი შეფასების და გაუმჯობესების ინსტრუმენტები.

პრინციპი 5.

სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა

მონაცემების მომწოდებლების პრივატულობა, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, მისი გამოყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა უსაფრთხოება სრულად არის გარანტირებული.

მაჩვენებლები

5.1 სტატისტიკური კონფიდენციალურობა კანონით არის გარანტირებული.

5.2 თანამდებობაზე დანიშვნისას თანამშრომლები ხელს აწერენ კონფიდენციალურობის დაცვის სამართლებრივ ვალდებულებას.

5.3 სტატისტიკური კონფიდენციალურობის განზრახ დარღვევის ნებისმიერი შემთხვევისთვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით.

5.4 სტატისტიკური პროცესების განმავლობაში თანამშრომლებს მიეწოდებათ სახელმძღვანელო მითითებები და ინსტრუქციები სტატისტიკური კონფიდენციალურობის დაცვის თაობაზე. საზოგადოება ინფორმირებულია კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესახებ.

5.5 საუკეთესო პრაქტიკის, საერთაშორისო სტანდარტების, აგრეთვე ევროპული და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკური მონაცემების და მათი გადაცემის უსაფრთხოებისა და მთლიანობის დაცვა უზრუნველყოფილია აუცილებელი მარეგულირებელი, ადმინისტრაციული, ტექნიკური და ორგანიზაციული ზომებით.

5.6 მკაცრი წესები (პროტოკოლები) ვრცელდება გარე მომხმარებლებზე, რომლებიც კვლევის მიზნით სტატისტიკურ მიკრომონაცემებს იყენებენ.

ნორმატიულ დოკუმენტებში უზრუნველყოფილია რეპონდენტების მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულის მიერ კონფიდენციალურობის დარღვევისთვის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის ზომები.

სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლები **გაფრთხილებული არიან** პირველადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ. ისინი ხელს აწერენ შესაბამის ვალდებულებას.

პრინციპი 6.

მიუკერძოებლობა და ობიექტურობა

სტატისტიკური ორგანოები შეიმუშავებენ, აწარმოებენ და ავრცელებენ ევროპულ სტატისტიკას სამეცნიერო დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის, პროფესიონალიზმისა და გამჭვირვალობის პრინციპების გათვალისწინებით და ყველა მომხმარებლისადმი თანაბარი დამოკიდებულების დაცვით.

მაჩვენებლები

6.1 სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ხდება სტატისტიკური მოსაზრებებით განპირობებულ ობიექტურ საფუძველზე.

6.2 მონაცემთა წყაროებისა და სტატისტიკური მეთოდების შერჩევა, ისევე როგორც სტატისტიკის ავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ეფუძნება სტატისტიკურ მოსაზრებებს.

6.3 გამოქვეყნებულ სტატისტიკაში აღმოჩენილი შეცდომები სწორდება რაც შეიძლება სწრაფად, ხოლო შესწორებები საჯარო ხდება.

6.4 ინფორმაცია გამოყენებულ მონაცემთა წყაროების, მეთოდებისა და პროცედურების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია.

6.5 სტატისტიკური მასალების გამოქვეყნების თარიღები და დრო ცხადდება წინასწარ.

6.6 ინფორმაცია მეთოდოლოგიებში მნიშვნელოვანი გადასინჯვებისა თუ ცვლილებების შესახებ ცხადდება წინასწარ.

6.7 სტატისტიკური ორგანოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სტატისტიკური მასალების გამოქვეყნების დროსა და შინაარს, ამასთან, ითვალისწინებენ სრული და დროული სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების მიზანს. ყველა სტატისტიკური მასალა თანაბრად და ერთდროულად არის ხელმისაწვდომი ყველა მომხმარებლისთვის. მომხმარებლისთვის ინფორმაციის ნებისმიერი პრივილეგირებული წინასწარი მიწოდება შეზღუდულია, დასაბუთებულია, კონტროლდება და საჯაროდ არის ცნობილი. დარღვევის შემთხვევაში წინასწარი მიწოდების პირობები გადაიხედება მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

6.8 სტატისტიკური პუბლიკაციები და პრეს-კონფერენციებზე გაკეთებული განცხადებები ობიექტური და მიუკერძოებელია.

შეცდომებზე რეაგირების პოლიტიკა. სტრუქტურულ ერთეულს აქვს მკაფიო პოლიტიკა, თუ როგორ გაუმკლავდნენ შეცდომებს, როგორ იმოქმედონ მათი აღმოჩენის შემთხვევაში და როგორ გამოასწორონ ისინი.

სტატისტიკური მასალების გავრცელების/გაზიარების თარიღი. სტრუქტურულ ერთეულს აქვს სტატისტიკური მასალების გამოქვეყნების თარიღები და დრო.

მონაცემების გადასინჯვა. სტრუქტურულ ერთეულს აქვს მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა.

სტატისტიკური პროცესები

ევროპული და სხვა საერთაშორისო სტანდარტები, მითითებები და მოწინავე პრაქტიკა სრულადაა გათვალისწინებული სტატისტიკური ორგანოების მიერ ევროპული სტატისტიკის შემუშავების, წარმოებისა და გავრცელების სტატისტიკურ პროცესებში. ამასთანვე ისინი მუდმივად ისწრაფიან ინოვაციებისკენ. სტატისტიკისადმი ნდობას ზრდის კარგი მართვისა და ეფექტურობის რეპუტაცია. აუცილებელი პრინციპებია სრულყოფილი მეთოდოლოგია, შესაბამისი სტატისტიკური პროცედურები, რესპონდენტების ნაკლები დატვირთვა და ეკონომიურობა.

პრინციპი 7.

სრულყოფილი მეთოდოლოგია

სრულყოფილი მეთოდოლოგია წარმოადგენს სტატისტიკის ხარისხის საფუძველს. იგი მოითხოვს შესაბამის ინსტრუმენტებს, პროცედურებსა და გამოცდილებას.

მაჩვენებლები

7.1 ევროპული სტატისტიკისთვის გამოყენებული საერთო მეთოდოლოგიური საფუძველი შეესაბამება ევროპულ და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს, მითითებებსა და მოწინავე პრაქტიკას. ამასთანავე ის მუდმივად ისწრაფის ინოვაციებისკენ.

7.2 არსებობს პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტანდარტული ცნებები, განსაზღვრებები, კლასიფიკაციები და სხვა ტიპის სტანდარტები თანამიმდევრულად იქნეს გამოყენებული მთელ სტატისტიკურ უწყებაში.

7.3 ევროპული სტატისტიკისთვის გამოყენებული რეგისტრები და გენერალური ერთობლიობები რეგულარულად ფასდება და, საჭიროების შემთხვევაში, ზუსტდება მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

7.4 არსებობს დეტალური შესაბამისობა კლასიფიკაციების ეროვნულ სისტემებსა და შესაბამის ევროპულ სისტემებს შორის.

7.5 სტატისტიკური ორგანოები სამუშაოზე იღებენ შესაბამისი აკადემიური დისციპლინების კურსდამთავრებულებს.

7.6 სტატისტიკური ორგანოები თავიანთი თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული სწავლების პოლიტიკას ატარებენ.

7.7 სტატისტიკური ორგანოები მხარს უჭერენ და ავითარებენ სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობას მეთოდოლოგიის გაუმჯობესების, გამოყენებული მეთოდების ეფექტურობის ამაღლებისა და ინსტრუმენტარის სრულყოფის მიზნით, როდესაც ეს შესაძლებელია.

მეთოდოლოგიური დოკუმენტაცია. სტატისტიკური პროცესებისთვის შემუშავებულია მეთოდოლოგიური დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კონცეფციების, მეთოდების, კლასიფიკაციების და სხვა ტიპის სტანდარტების შესახებ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კლასიფიკაციების შესაბამისობა. გამოყენებული კლასიფიკაციები შეესაბამება ევროპულ/საერთაშორისო ანალოგებს.

თანამშრომლების მიღება. სტრუქტურულ ერთეულში თანამშრომლების მიღება ხდება ღია კონკურსის საფუძველზე შესაბამისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება. სტრუქტურული ერთეულის პერსონალს შესაბამისი განათლება აქვს მიღებული. თანამშრომლები შეძლებისდაგვარად იმაღლებენ პროფესიულ კვალიფიკაციას.

პრინციპი 8.

შესაბამისი სტატისტიკური პროცედურები

შესაბამისი სტატისტიკური პროცედურები, რომლებიც გამოიყენება სტატისტიკურ პროცესებში, ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების საფუძველს წარმოადგენს.

მაჩვენებლები

8.1 როდესაც ევროპული სტატისტიკა ეფუძნება ადმინისტრაციულ და სხვა მონაცემებს, არასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებული განსაზღვრებები და ცნებები მნიშვნელოვანწილად დაახლოებულია სტატისტიკური მიზნებისთვის საჭირო განსაზღვრებებსა და ცნებებთან.

8.2 სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებისას, მონაცემების შეგროვებამდე სისტემატურად ტარდება კითხვარების ტესტირება.

8.3 სტატისტიკური პროცესები რეგულარულად კონტროლდება და საჭიროების შემთხვევაში გადაისინჯება.

8.4 სტატისტიკურ პროცესებთან დაკავშირებული მეტამონაცემები მუშავდება სტატისტიკური პროცესების განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი გავრცელება.

8.5 გადასინჯვა ეფუძნება სტანდარტულ, დამკვიდრებულ და გამჭვირვალე პროცედურებს.

8.6 ადმინისტრაციული და სხვა მონაცემების მფლობელებთან იდება შეთანხმებები, რომლებითაც განისაზღვრება ამ მონაცემების სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენების საერთო ვალდებულება.

8.7 სტატისტიკური ორგანოები თანამშრომლობენ ადმინისტრაციული და სხვა მონაცემების მფლობელებთან მონაცემების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

კითხვარების ტესტირება. გამოკვლევის ჩატარებამდე ხდება კითხვარების ტესტირება.

მონაცემთა გადასინჯვა. საჭიროების შემთხვევაში მონაცემთა გადასინჯვა ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

პრინციპი 9.

რესპონდენტების გადაჭარბებული დატვირთვისგან თავის არიდება

გამოპასუხების ტვირთი მომხმარებლების მოთხოვნების პროპორციულია და არ არის გადაჭარბებული რესპონდენტებისთვის. სტატისტიკური ორგანოები მონიტორინგს უწევენ გამოპასუხების ტვირთს და მიზნად ისახავენ მის თანდათანობით შემცირებას.

მაჩვენებლები

9.1 ევროპული სტატისტიკის მოთხოვნების დიაპაზონი და დეტალები შემოიფარგლება მხოლოდ სრულიად აუცილებლით.

9.2 გამოპასუხების ტვირთი გენერალურ ერთობლიობაზე რაც შეიძლება ფართოდ ნაწილდება და კონტროლდება სტატისტიკური ორგანოების მიერ.

9.3 შესაძლებელია საწარმოებისგან მისაღები ინფორმაციის მათი საბუხჰალტრო ანგარიშებიდან მიღება და მონაცემთა მოწოდების გასაადვილებლად, რამდენადაც შესაძლებელია, გამოიყენება ელექტრონული საშუალებები.

9.4 მონაცემების მოთხოვნის დუბლირების თავიდან ასაცილებლად, რამდენადაც შესაძლებელია, გამოიყენება ადმინისტრაციული და მონაცემთა სხვა წყაროები.

9.5 მონაცემთა გაზიარება და ინტეგრაცია, კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხელს უწყობს გამოპასუხების ტვირთის მინიმუმამდე შემცირებას.

9.6 გამოპასუხების ტვირთის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, სტატისტიკური ორგანოები ხელს უწყობენ ზომებს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მონაცემთა წყაროებს შორის კავშირს.

პრინციპი 10.

ხარჯთაფეთქურობა

რესურსები ეფექტურად გამოიყენება.

მაჩვენებლები

10.1 სტატისტიკური ორგანოების მიერ რესურსების გამოყენება კონტროლდება შიდა და დამოუკიდებელი გარე ღონისძიებებით.

10.2 ხორციელდება სტატისტიკური პროცესებისთვის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტიულობის პოტენციალის ოპტიმიზება.

10.3 გამოიყენება პროაქტიური ძალისხმევა ადმინისტრაციული და მონაცემთა სხვა წყაროების სტატისტიკური პოტენციალის გაზრდისა და პირდაპირი გამოკვლევების რაოდენობის შეზღუდვის მიზნით.

10.4 სტატისტიკური ორგანოები ხელს უწყობენ, აზიარებენ და ნერგავენ სტანდარტიზებულ გადანაცვლებებს, რომლებიც ზრდიან ეფექტურობასა და პროდუქტიულობას.

რესურსების განაწილება სტატისტიკურ პროცესებზე. აღრიცხვის სისტემა სტატისტიკურ პროცესებზე რესურსების ეფექტიანი განაწილების საშუალებას იძლევა.

პერსონალის შეფასება. პერსონალი ყოველწლიურად ფასდება დაწესებულებაში არსებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. შეფასება მოიცავს პერსონალის განაწილებას, შესრულებას, უნარებს, მობილობას და ტრენინგის საჭიროებებს.

IT ინფრასტრუქტურის და სტრატეგიის შეფასება. რეგულარულად განიხილება IT ინფრასტრუქტურა და სტრატეგია.

სტატისტიკური პროდუქტები

ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები აკმაყოფილებენ მომხმარებლების მოთხოვნებს. სტატისტიკა ხარისხის ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება და ევროპული ინსტიტუტების, მთავრობების, კვლევითი ინსტიტუტების, ბიზნეს კონცერნებისა და ზოგადად საზოგადოების მოთხოვნებს შეესაბამება. პროდუქტების ხარისხი ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად არის

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სტატისტიკა აქტუალური, ზუსტი და სანდო, დროული, თანამიმდევრული, შედარებადი რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით და მომხმარებლებისთვის იოლად ხელმისაწვდომი.

პრინციპი 11.

აქტუალურობა

ევროპული სტატისტიკა აკმაყოფილებს მომხმარებლების მოთხოვნებს.

მაჩვენებლები

11.1 მოქმედებს მომხმარებლებთან კონსულტაციების, არსებული სტატისტიკური მონაცემების აქტუალურობისა და პრაქტიკული სარგებლიანობის მონიტორინგის პროცედურები, რათა დაკმაყოფილდეს მომხმარებელთა მოთხოვნები და განსაზღვრული იქნეს მათი მომავალი მოთხოვნები და პრიორიტეტები. სტატისტიკური პროდუქტების მუდმივი გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს ინოვაციების ძიება.

11.2 პრიორიტეტული მოთხოვნები კმაყოფილდება და აისახება სამუშაოთა პროგრამაში.

11.3 რეგულარულად ხორციელდება მომხმარებლების კმაყოფილების მონიტორინგი და მისი შედეგები მიიღება მხედველობაში.

მომხმარებლებთან კონსულტაცია. წარმოებული სტატისტიკური მონაცემების მომხმარებლების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

შეთანხმებები ძირითად მომხმარებლებთან. არსებობს შეთანხმებები/თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები ძირითად მომხმარებლებთან.

პრინციპი 12.

სიზუსტე და სანდოობა

ევროპული სტატისტიკა ზუსტად და სანდოდ ასახავს რეალობას.

მაჩვენებლები

12.1 პირველადი მონაცემები, ინტეგრირებული მონაცემები, შუალედური შედეგები და სტატისტიკური პროდუქტები რეგულარულად ფასდება და მონმდება.

12.2 შერჩევის ცდომილებები და მისგან დამოუკიდებელი ცდომილებები იზომება და სისტემატურად ფიქსირდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

12.3 პირველადი მონაცემების, სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ხდება გადასინჯვების ანალიზი.

შეფასებისა და ვალიდაციის სისტემები. არსებობს საწყისი მონაცემების, კრებსითი მონაცემების, შუალედური შედეგებისა და სტატისტიკური შედეგების შეფასებისა და ვალიდაციის სისტემები.

შეფასებისა და ვალიდაციის სახელმძღვანელო პრინციპები. არსებობს მონაცემთა ხარისხის შეფასებისა და ვალიდაციის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მოიცავს მონაცემთა სიზუსტისა და სანდოობის საკითხებს.

პრინციპი 13.

დროულობა და კონტენტუალობა

ევროპული სტატისტიკა ქვეყნდება დროულად და დაგვიანების გარეშე.

მაჩვენებლები

13.1 დროულობა აკმაყოფილებს გამოქვეყნების ევროპულ და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს.

13.2 სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების სტანდარტული დრო საჭაროდ არის ცნობილი.

13.3 სტატისტიკის პერიოდულობა მაქსიმალურად ითვალისწინებს მომხმარებლების მოთხოვნებს.

13.4 გავრცელების განრიგიდან გადახვევის შესახებ წინასწარ ეცნობება საზოგადოებას, განმარტება მიზეზები და დგინდება გამოქვეყნების ახალი თარიღი.

13.5 მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისაღები სიზუსტის და სანდოობის წინასწარი შედეგების გამოქვეყნება.

სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების დროულობა. დროულობა შეესაბამება ევროპულ და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს.

პრინციპი 14.

თანამიმდევრულობა და შესადარისობა

ევროპული სტატისტიკა თანამიმდევრულია შინაგანად, დროში და შედარებადია რეგიონებსა და ქვეყნებს შორის; შესაძლებელია მონაცემთა სხვადასხვა წყაროდან მიღებული და ურთიერთკავშირში მყოფი მონაცემების შერწყმა და ერთობლივად გამოყენება.

მაჩვენებლები

14.1 სტატისტიკური მონაცემები შინაგანად თანამიმდევრული და მდგრადია (ანუ დაცულია არითმეტიკული და ბუალტრული იდენტურობა).

14.2 სტატისტიკური მონაცემები შესადარისია დროის გონივრულ პერიოდში.

14.3 სტატისტიკური მონაცემების დამუშავება ხდება იმ საერთო სტანდარტების საფუძველზე, როგორებიცაა მოცვა, განსაზღვრებები, ერთეულები და კლასიფიკაციები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა გამოკვლევასა და მონაცემთა წყაროში.

14.4 ხდება მონაცემთა სხვადასხვა წყაროდან მიღებული და სხვადასხვა პერიოდულობის სტატისტიკური მონაცემების შედარება და შესაბამისობაში მოყვანა.

14.5 ქვეყნებს შორის მონაცემების შესადარისობა უზრუნველყოფილია ევროპის სტატისტიკური სისტემის ფარგლებში ამავე სისტემასა და სხვა სტატისტიკურ სისტემებს შორის მონაცემების პერიოდული გაცვლის საშუალებით. მეთოდოლოგიური კვლევები ტარდება წევრი სახელმწიფოებისა და ევროსტატის მჭიდრო თანამშრომლობით.

მონაცემების შესადარისობა. მონაცემები შესადარისია დროის გონივრულ მონაკვეთში.

პრინციპი 14.

ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა

ევროპული სტატისტიკა წარმოდგენილია ნათელი და გასაგები ფორმით, ქვეყნდება შესაფერისი და მოსახერხებელი სახით, თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის თანდართული მეტამონაცემებითა და განმარტებებით.

მაჩვენებლები

15.1 სტატისტიკა და შესაბამისი მეტამონაცემები წარმოდგენილია და დაარქივებულია იმგვარად, რომ გამარტივდეს მათი სწორი ინტერპრეტირება და გააზრებული შედარება.

15.2 გავრცელების სამსახურები იყენებენ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მეთოდებს, პლატფორმებს და ღია მონაცემების სტანდარტებს.

15.3 შესაძლებლობის შემთხვევაში, შეკვეთით ტარდება ინდივიდუალური გამოკვლევები და საზოგადოება ამის შესახებ ინფორმირებულია.

15.4 მიკრომონაცემები ხელმისაწვდომია კვლევითი მიზნებისთვის სპეციფიკური წესებისა თუ პროტოკოლების დაცვით.

15.5 სტატისტიკური ორგანო ამუშავებს და ავრცელებს პროდუქტებთან დაკავშირებულ მეტამონაცემებს ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

15.6 მომხმარებლები მუდმივად ინფორმირებულნი არიან სტატისტიკური პროცესების მეთოდოლოგიის შესახებ, ადმინისტრაციული და სხვა მონაცემების გამოყენების და ინტეგრაციის ჩათვლით.

15.7 მომხმარებლები მუდმივად ინფორმირებულნი არიან სტატისტიკური პროდუქტების ხარისხის ევროპის სტატისტიკის ხარისხის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ.

გავრცელებისა და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები. სტრუქტურული ქვედანაყოფი იყენებს თანამედროვე და ეფექტიან საინფორმაციო ტექნოლოგიების არხებს და წარმოდგენილია სხვადასხვა სოციალური მედიის პლატფორმაზე. ხელმისაწვდომი ინფორმაცია მაქსიმალურად ფართოა. ვებსაიტი რეგულარულად ახლდება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შეკვეთით შემუშავებული ანალიზის პოლიტიკა. არსებობს შეკვეთით შემუშავებული ანალიზის უზრუნველყოფის პოლიტიკა. ის მოიცავს ფასების პოლიტიკას და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

მეტამონაცემების გავრცელება. ყველა სტატისტიკური შედეგი ვრცელდება შესაბამის მეტამონაცემებთან ერთად, რათა უზრუნველყოფილი იყოს შედეგების უკეთ გაგება.

კითხვაბი თვითშეფასებისთვის

არსებობს თუ არა დაწესებულებაში ნორმატიული აქტები (დაწესებულების და/ან სტრუქტურული ერთეულის დებულებები და სხვა მსგავსი დოკუმენტები), რომლებიც უზრუნველყოფენ სტრუქტურული ერთეულის პროფესიულ დამოუკიდებლობას?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

ნორმატიული დოკუმენტებით უზრუნველყოფილია თუ არა **სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილება** შეაგროვოს ინფორმაცია სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების მიზნით?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უზრუნველყოფილია თუ არა სტრუქტურული ერთეული სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელებისთვის საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსებით?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

სტრუქტურული ერთეულში არსებობს თუ არა თანამშრომლების მიერ შესასრულებელი სამუშაოების აღწერილობები?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

ნორმატიული დოკუმენტებით უზრუნველყოფილია თუ არა რეპონდენტების მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან თუ არა პირველადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შეცდომებზე რეაგირების პოლიტიკა. სტრუქტურულ ერთეულს აქვს თუ არა მკაფიო პოლიტიკა, თუ როგორ იმოქმედონ შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში და როგორ გამოასწორონ ისინი?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

სტატისტიკური მასალების გავრცელების/გაზიარების თარიღი. სტრუქტურულ ერთეულს აქვს თუ არა სტატისტიკური მასალების გამოქვეყნების/გადაცემის თარიღები?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

მონაცემების გადასინჯვა. სტრუქტურულ ერთეულს აქვს თუ არა მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა.

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

კლასიფიკაციების შესაბამისობა. შეესაბამება თუ არა გამოყენებული კლასიფიკაციები ევროპულ/საერთაშორისო ანალოგებს?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თანამშრომლების მიღება. სტრუქტურულ ერთეულში თანამშრომლების მიღება ხდება თუ არა ღია კონკურსის საფუძველზე შესაბამისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

მონაცემთა გადასინჯვა. საჭიროების შემთხვევაში მონაცემთა გადასინჯვა ხორციელდება თუ არა წინასწარ დადგენილი პროცედურების შესაბამისად?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

პერსონალის შეფასება. პერსონალი ყოველწლიურად ფასდება თუ არა დაწესებულებაში არსებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად? შეფასება მოიცავს პერსონალის განაწილებას, შესრულებას, უნარებს, მობილობას და ტრენინგის საჭიროებებს.

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

IT ინფრასტრუქტურის და სტრატეგიის შეფასება. რეგულარულად განიხილება თუ არა IT ინფრასტრუქტურა და სტრატეგია?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შეთანხმებები ძირითად მომხმარებლებთან. არსებობს თუ არა შეთანხმებები/თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები ძირითად მომხმარებლებთან?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების დროულობა. დროულობა შეესაბამება თუ არა ევროპულ და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

მონაცემების შესადარისობა. მონაცემები შესადარისია თუ არა დროის გონივრულ მონაკვეთში?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გავრცელებისა და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები. სტრუქტურული ქვედანაყოფი იყენებს თუ არა თანამედროვე და ეფექტიან საინფორმაციო ტექნოლოგიების არხებს და წარმოდგენილია სხვადასხვა სოციალური მედიის პლატფორმაზე? ხელმისაწვდომი ინფორმაცია მაქსიმალურად ფართოა. ვებსაიტი რეგულარულად ახლდება.

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება

მეტამონაცემების გავრცელება. ყველა სტატისტიკური შედეგი ვრცელდება თუ არა შესაბამის მეტამონაცემებთან ერთად, რათა უზრუნველყოფილი იყოს შედეგების უკეთ გაგება?

- ☐ დიახ
- ☐ ნაწილობრივ
- ☐ არა
- ☐ არ შეესაბამება